საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კანდელაკი გაიოზ ვახტანგის ძე

კანდელაკი გაიოზ ვახტანგის ძე (დ. 27. VI. 1945, თბილისი), მუსიკალურ ღონისძიებათა ორგანიზატორი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1982). 1976 დაამთავრა მოსკოვის კულტ. მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ინ-ტი. 1971–74 იყო თავისივე დაარსებული საქართვ. ახალგაზრდული შემოქმედებითი კლუბის პრეზიდენტი, 1974–77 – თბილ. თეატრ "მეტეხის" დირექტორი, 1977–84 – საერთაშ. ჯაზ/როკ ფესტივალის დამაარსებელი და ორგანიზატორი საქართველოში, საქართვ. ფილარმონიის დირექტორი, 1978 – თბილისში ჩატარებული პირველი ჯაზ-ფესტივალის ორგანიზატორი, 1977–82 – ჯაზ-ვოკალის საერთაშ. ფესტივალის ჟიურის წევრი (ზამოჟჩი, პოლონეთი), 1982–87 – სსრკ-ის გრამფირფიტების ფირმა „მელოდიის" თბილ. სტუდიის დირექტორი, 1996 – თბილისის მერიის ორკესტრის, „ბიგ-ბენდის" დამაარსებელი და მთ. კონსულტანტი, 2006 – რადიო „სინდიკატის" თანადამფუძნებელი, 1987–2006 – კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის გენ. დირექტორი, პარალელურად – მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის მთ. კონსულტანტი. 1997 იყო მ. თუმანიშვილის სახ. ხელოვნების საერთაშ. ფესტივალ „საჩუქრის" იდეის ერთ-ერთი ავტორი და ხელმძღვანელი; კომპანია „ისტერპრომოუშენის" ერთ-ერთი დამაარსებელი (1997).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998, 2005). მიღებული აქვს საქართვ. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უმაღლესი ჯილდო – „ხელოვნების ქურუმი" (2015). თბილისის საპატიო მოქალაქე (2018).